ტელეკომპანია "კავკასიის" თვითრეგულირების

სააპელაციო კომისიას

ასლი: საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელ

ეროვნულ კომისიას

**სააპელაციო საჩივარი**

2015 წლის 6 იანვარს ოთხმა არასამთავრობო ორგანიზაციამ - სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდმა, მედიის განვითარების ფონდმა (MDF), ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრმა (EMC), ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტმა (TDI) - ტელეკომპანია "კავკასიის" თვითრეგულირების ორგანოს საჩივრით მიმართა. საჩივარი 2014 წლის 26 დეკემბრის თოქ-შოუ "სპექტრში"[1] გადაცემის წამყვანის მიერ გაკეთებულ დისკრიმინაციულ განცხადებებს შეეხებოდა (იხ. თანდართული საჩივარი #1).

ტელეკომპანია "კავკასიამ" დაარღვია მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-14 (1) მუხლი, რომელიც მას ავალდებულებს, "ქცევის კოდექსის საფუძველზე შექმნას თვითრეგულირების ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საჩივრების განხილვასა და მათზე დროულ და დასაბუთებულ რეაგირებას." კოდექსის თანახმად, დროული განხილვა 21 დღეს გულისხმობს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების მისაღებად 21 დღეზე მეტია საჭირო, მაუწყებელი ვალდებულია, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება და აღნიშნულის შესახებ აცნობოს ყველა დაინტერესებულ პირს.

ტელეკომპანიის თვითრეგულირების ორგანოს 2015 წლის 16 თებერვლით დათარიღებული გადაწყვეტილება (იხ. დანართი #2) მედიის განვითარების ფონდს 20 თებერვალს ჩაბარდა, ხოლო ვადის გადავადების შესახებ დასაბუთება დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის არ შეუტყობინებიათ.

საჩივრის ავტორებს არ მოგვცემია განხილვაში მონაწილეობის უფლება, რითაც დაირღვა მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-9 და მე-11 მუხლები. მე-9 მუხლი საჩივრების მიუკერძოებელი, სამართლიანი და გამჭვირვალე წესით განხილვის ვალდებულებას მოიცავს, რის შემდგომ დეტალიზებასაც კოდექსის მე-11 მუხლი ახდენს, როდესაც ავალდებულებს მაუწყებელს, უზრუნველყოს საჩივრის განხილვაზე ყველა დაინტერესებული პირის დასწრება.

---

[1] http://www.myvideo.ge/?act=dvr&chan=caucasia&seekTime=26-12-2014+19%3A36

რაც შეეხება გადაწყვეტილებას, ვთლით, რომ კომისიამ არასწორად განმარტა დაინტერესებული პირისი ცნება შემდეგ გარემოებათა გამო:

სადავო გადაცემა განეკუთვნება საჯარო ინტერესის სფეროს, რადგან ეთნიკური და რელიგიური ნიშნით ადამიანთა დისკრიმინაციას ახდენს და მასზე დავა როგორც ინდივიდს, ასევე ნებისმიერ პირს შეუძლია. დაუშვებელია, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების კერძო დავად განხილვა, მით უფრო, რომ მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 31-ე[2] და 33.1[3] მუხლები, რომელთა დარღვევასაც ჩვენ ვასაჩივრებთ, თავისი არსიდან გამომდინარე ეხება როგორც ინდივიდს, ასევე გარკვეული იდენტობის მატარებელ ჯგუფებს.

ორგანიზაცია "სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი" ქვემო ქართლში ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების ინტერესებს წარმოადგენს, ხოლო მედიის განვითარების ფონდი, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი და ტოლერანტობისა და მრვალფეროვნების ინსტიტუტის საქმიანობის ძირითადი სფერო თანასწორუფლებიანობის, სიძულვილის ენისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის საკითხებია და ამდენად, ჩვენს კანონიერ ინტერესებზე, რომელიც დაცულია საქართველოს კონსტიტუციით, კანონმდებლობით და კანონმდებლობის საფუძველზე მიღებული ქცევის კოდექსით, უშუალო გავლენას ახდენს ის შეუწყნარებლობის ენა, რომელსაც გადაცემა სპექტრის წამყვანის მხრიდან ჰქონდა ადგილი.

ამასთანავე აღსანიშნავია, ამ თვალსაზრისით სხვა მაუწყებლების მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა: ტელეკომპანია რუსთავი 2-მა ფართოდ განმარტა დაინტერესებული პირისი ცნება, როდესაც 29 მაისს განიხილა და დააკმაყოფილა ქართველ მუსლიმთა კავშირის, მედიის განვითარების ფონდისა და ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის საჩივარი გადაცემა "PS"-ის წინააღმდეგ და უზრუნველყო, განხილვაზე საჩივრის ავტორთა დასწრება. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მართალია, 22 მაისის გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა 9 არასამთავრობო ორგანიზაციის და ერთი ფიზიკური პირის საჩივარი, რომელიც იერუსალიმიდან ცეცხლის გადმოსვლის რიტუალის დროს კომენტატორის მიერ გაკეთებულ სიძულვილის ენის შემცველ განცხადებებს შეიცავდა, მაგრამ არსობრივად განიხილა იგი და ადამიანის უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები დაინტერესებულ პირებად მიიჩნია.

ზემოთ მითითებულ გარემოებათა გათვალისწინებით, გთხოვთ, შეისწავლოთ ტელეკომპანია "კავკასიის" მიერ მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-14 (1) მუხლისა და მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-9 და მე-11 მუხლების დარღვევის ფაქტი და განიხილოთ 6 იანვარს თვითრეგულირების ორგანოში შემოტანილი საჩივარი, რომელიც 2014 წლის 26 დეკემბრის თოქ-შოუში "სპექტრი" გაკეთებულ დისკრიმინაციულ განცხადებებს შეეხება.

---

[2] "მაუწყებელმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი მასალის გამოქვეყნებისგან, რომელიც გააღვივებს სიძულვილს ან არატოლერანტობას რასის, ენის, სქესის, რელიგიური კუთვნილების, პოლიტიკური შეხედულებების, ეთნიკური, გეოგრაფიული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე."

[3] "მაუწყებელმა თავი უნდა აარიდოს ეთნიკურ ან რელიგიურ კუთვნილებასა და უარყოფით მოვლენებს შორის დაუსაბუთებელი პარალელების გავლებას, მათ შორის ცალკეული პიროვნებების საქმიანობის ასოცირებას მთელ ჯგუფთან."

იმის გათვალისწინებით, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ტელეკომპანია "კავკასიის" თვითრეგულირების ორგანო მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-14 (1) მუხლისა და მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-9 და 11 მუხლების დარღვევას ახდენს, სააპელაციო საჩივრის ასლი რეაგირებისთვის ეგზავნება საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას. კერძოდ, 2014 წლის 22 მაისს საქართველოს აზერბაიჯანელ სტუდენტთა ასოციაცია "გატამ", მედიის განვითარების ფონდმა (MDF), საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ (GDI) და ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტმა (TDI) ტელეკომპანია კავკასიის თვითრეგულირების ორგანოს გადაცემა "სპექტრის" წამყვანის მიერ გაკეთებული დისკრიმინაციული განცხადებების გამო საჩივრით მიმართეს (იხ. დანართი #3). აღნიშნული საჩივარი "კავკასიის" თვითრეგულირების კომისიამ ვადებისა და პროცედურების დარღვევით განიხილა და არ უზრუნველყო განხილვაზე დაინტერესებული პირების დასწრება, რითაც დაარღვია როგორც მაუწყებლობის შესახებ კანონის, ასევე მაუწყებელთა ქცევის კოდექსის ზემოთ მითითებული დებულებები. მეტიც, ტელეკომპანიის სააპელაციო კომისიამ განხილვის გარეშე დატოვა 2014 წლის 23 ივნისის სააპელაციო საჩივარი (დანართი #4) აღნიშნულ საკითხზე.

პატივისცემით,

ზაურ ხალილოვი

სამოქალაქო ინტეგრაციის
ფონდის აღმასრულებელი
დირექტორი

თამარ კინწურაშვილი

მედიის განვითარების ფონდის
გამგეობის თავმჯდომარე

თამთა მიქელაძე

ადამიანის უფლებების სწავლებისა
და მონიტორინგის ცენტრის
დირექტორი

ეკა ჭითანავა

ტოლერანტობის და
მრავალფეროვნების
ინსტიტუტის დირექტორი